




ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2017 წლის 8 დეკემბერს გამოკითხულ იქნა საბაკალავრო სკოლის III კურსის იუნკერთა შემადგენლობა, გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა თუ რა გახდა მათ მიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მიზეზი. გამოკითხვა სულ 78 რესპოდენტი.

(აღნიშნული კატეგორიისთვის მეხუთე სემესტრიდან აკადემიაში შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის არჩევა).

1. რომელ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ? (შემოხაზეთ ის პროგრამა, რომელზეც სწავლობთ)


გამოკითხვა სულ 78 რესპოდენტი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ შემოხაზა 1-მა რესპოდენტმა, მათი ფარდობითობა ერთმანეთთან პროცენტულად აისახა შემდეგნაირად: 26% თავდაცვა და უსაფრთხოება, 38% ინფორმატიკა, 36% მენეჯმენტი.



2. მიზეზი, რის გამოც ავირჩიე საგანმანათლებლო პროგრამა არის (შემოხაზეთ ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი მიზეზები)

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის მიზეზად გამოკითხული 78 რესპოდენტიდან იმდენად, რამდენადაც არ იყვნენ შეზღუდულები რამდენიმე მოსაზრება დაეფიქსირებინა თითოეულ რესპოდენტს 27%-მა სფეროს სიყვარული აღნიშნა, 17%

იმისთვის ირჩევს, რომ „მისი მომავალი დასაქმების გარანტია“, 15%-მა „ხარისხიანი აკადემიური განათლების მიღება“, 10% პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებს ასახელებს მიზეზად, 8%-სთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, 7/7% საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებსა და ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები;



რაც შეეხება იუნკერთა მიერ დაფიქსირებულ კომენტარებს მთლიან კურსზე გამოკითხული 78 რესპოდენტიდან კომენტარი მხოლოდ 19 რესპოდენტმა დააფიქსირა, სადაც ძირითად პრობლემად იკვეთება მათ მიერ არჩეულ სასწავლო კურსზე მოხვედრის შეუძლებლობა.

4-მა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მათი სურვილის წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ აირჩიეს ინფორმატიკა უწევთ მენეჯმენტის სწავლა, ვერ მოხვდნენ მათთვის სასურველ და არჩეულ კურსზე:

- ✓ სხვა ფაკულტეტზე მინდოდა სწავლა მაგრამ არჩევანის შესაძლებლობა არ მქონდა . იყო გამოკითხვა მივუთითე, რომ IT მინდოდა, მაგრამ მაინც მენეჯმენტზე მოვხვდი;
- ✓ აიტი მეწერა, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია მენეჯმენტზე რატომ ვარ როცა რეიტინგით 45 ვიყავი;
- ✓ მე ჩემი ნებით არ ამირჩევია ეს პროგრამა სხვაგზა არ მქონდა. მე მინდოდა IT ინფორმატიკა, მაგრამ ვერ მოვხვდი, ახლა კი მენეჯმენტს ვსწავლობ ძალით;
- ✓ მე არ მინდოდა მენეჯმენტი მინდოდა ინფორმაციული ტექნოლოგიები თუმცა არასურვილისამებრ მიწევს მენეჯმენტის სწავლა;

გარდა ამისა, ზოგიერთ მათგანს გაუძარტლა და მისთვის სასურველ ფაკულტეტზე აღმოჩნდა:

- ✓ რაზეც მინდოდა იმაზე ვსწავლობ;
- ✓ ამ სამი პროგრამიდან ჩემთვის ყველაზე ღირებულად ჩავთვალე და ამიტომაც გავაკეთე ეს არჩევანი;

საგულისხმოა შემდეგი კომენტარები:

- ✓ ავირჩიე იმულებით, რადგან დისციპლინური გადაცდომისათვის დაკლებული ქულების გამო საერთო რეიტინგში მოხვდი დაბალ საფეხურზე რის მიხედვითაც მოხდა გადანაწილება ასარჩევ პროფესიებზე. ჩემი აზრით მომავალი პროფესიის არჩევის საშუალება ყველას სურვილისამებრ უნდა მიეცეს და რეიტინგით არ უნდა განისაზღვროს;
- ✓ ... ბევრი იყო ისეთი ფაქტი როდესაც იუნკერები ვერ მოხვდნენ სასურველ ფაკულტეტზე, რადგან ზოგიერთი შემთხვევითი პრინციპით მოხვდა, ასევე ცუდია, ის რომ შეზღუდულია რაოდენობა ფაკულტეტებზე;

ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ მისი არჩევანი განაპირობა პირადმა ინტერესმა და საერთაშორისო ურთიერთობებთან მსგავსებამ, რაც მისცემს მას საშუალებას მაგისტრატურაზე აირჩიოს მისი სასურველი სპეციალობა; მეორემ აღნიშნა, რომ დაეხმარება უკეთესი აზროვნების განვითარებაში, სიტუაციების უფრო მეტად სწორად აღქმაში და ანალიტიკურ აზროვნებაში, მიაჩნია, რომ ეს ყოველივე კი მისი მომავალი სამხედრო ცხოვრების განმსაზღვრელი იქნება; შემდეგს მომავალში განვითარების პერსპექტივა ხიბლავს, მიაჩნია საინტერესოდ და ეხმარება მასში როგორც პიროვნებაში კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას;

დანარჩენებს კი წარმოგიდგინებ სრულად:

- ✓ მქონდა მონიშნული თავდაცვა და უსაფრთხოება, მაგრამ მოვხვდი მენეჯმენტზე მიუხედავად ჩემი უკმაყოფილებისა ჩემი სურვილი არ დაკმაყოფილდა;
- ✓ ჩემი არჩევანი არ ყოფილა, უბრალოდ განაწილების შედეგად მოვხვდი;
- ✓ 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების ერაში თავდაცვა და უსაფრთხოება, რომელიც ცალ-ცალკე უნდა ისწავლებოდეს აღარ არის საჭირო, რადგან ამას ტექნოლოგიები აკეთებენ. ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ მეგობრობს ტექნოლოგიებთან ვეღარ იშოვის ადვილად სამსახურს ეს სფერო ავირჩიე (იტ) იმიტომ, რომ ვარ დაინტერესებული ამ სფეროთი და შესაბამისადაც სწავლის პროცესშიც უფრო მეტ ყურადღებას ვიჩენ საგნების მიმართ.
- ✓ ანუ ვთქვით და შემიწყდა ს/მ სტატუსი მჭირდება იმის გარანტია, რომ ჩემ მიერ არჩეული სამოქალაქო საბაკალავრო საგანი დამეხმარება მინიმალური ხელფასის სამსახურში დასასაქმებლად;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური